საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/135

ქ. ბათუმი 17 ივნისი, 2022 წ

,,კოიმბრას პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს დასაქმებულის (ადმინისტრაციული ერთეულებიდან) გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ'' რექტორის 2022 წლის 01-02/126 ბრძანების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

ბსუ-ს რექტორის ბრძანებით (ბრძანება №01-02/126, 03/06/2022) გამოცხადდა კონკურსი კოიმბრას პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს დასაქმებულის (ადმინისტრაციული ერთეულებიდან) გამოსავლენად. კონკურსი გამოცხადდა კოიმბრას პოლიტექნიკური უნიევრსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ოფისის ერაზმუს+ კოორდინატორის შემოთავაზებით, რომელმაც მოლდოვას 2019 წლის ბიუჯეტიდან გამოუყენებელი გრანტი გადაანაწილა საქართველოსთვის, რადგან მოლდოვას არცერთი უნივერსიტეტისგან არ ჰქონდათ პერსონალის ნომინირება. კოიმბრას პოლიტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ოფისის ერაზმუს+ კოორდინატორის მარია კარდოსოს 2022 წლის 13 ივნისის წერილის თანახმად (თან ერთვის 14.06. 2022 წლის MES 7 22 0000638632 სამსახურებრივ ბარათს), მოლდოვას უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულებებიდან მიიღეს ნომინაციები, შესაბამისად შემოთავაზებული გრანტის საქართველოსთვის განაწილება გახდა შეუძლებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ,,კოიმბრას პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს დასაქმებულის (ადმინისტრაციული ერთეულებიდან) გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2022 წლის №01-02/126 ბრძანება.

უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის 2022 წლის 14 ივნისის MES 7 22 0000638632 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ,,კოიმბრას პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს დასაქმებულის (ადმინისტრაციული ერთეულებიდან) გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების

შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2022 წლის №01-02/126 ბრძანება ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი 2022 წლის 13 ივნისიდან.

2. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**